

შპს „ჯი თი სმარტ სოლუშენს“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2018 წლის 31 დეკემბერს

**ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)**

	<u>2018 წ.</u>	<u>2017 წ.</u>
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	255543,83	175813,32
არამატერიალური აქტივები	640,00	760,00
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	256183,83	176573,32
მიმდინარე აქტივები:		
მარაგები	123617,23	453256,13
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	301710,62	124723,59
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1212,65	168194,69
ფული და ფულის ექვივალენტები	141319,33	76563,10
სულ მიმდინარე აქტივები	567859,83	822737,51
სულ აქტივები	824043,66	999310,83
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		
აქციონერთა კაპიტალი:		
საწესდებო კაპიტალი	0,00	0,00
გაუნაწილებელი მოგება	547483,32	724042,78
სულ აქციონერთა კაპიტალი	547483,32	724042,78
მიმდინარე ვალდებულებები:		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	26560,34	6410,06
მიღებული ავანსები	250000,00	250000,00
გადასახდელი ხელფასები	0,00	0,00
დარიცხული გადასახადები	0,00	18857,99
სულ მიმდინარე ვალდებულებები	276560,34	275268,05
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	824043,66	999310,83

შპს "ჯი თი სმარტ სოლუშენს"

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები	
შემოსავალი	3908997,86
რსო	-2897708,30
მთლიანი მოგება	1011289,56
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	-11381,14
დასაქმებულთა ანაზღაურება	-902873,12
საოფისე ფართის იჯარა	-15194,87
ცვეთა და ამორტიზაცია	-26612,52
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	-122299,92
საპროცენტო შემოსავლები	-
საპროცენტო ხარჯები	-
ფინანსური ხარჯი, წმინდა	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-4224,29
მოგება/ზარალი გადასახადამდე	-71296,30
მოგების გადასახადი	-
წლის მიმდინარე ოპერაციებიდან მოგება/ზარალი	-71296,30
სხვა სრული შემოსავალი	
სულ წლის სრული შემოსავალი/ზარალი	-71296,30
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	724042,78
განაწილება მესაკუთრეზე (დივიდენდი)	-105263,16
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	547483,32

შპს "პიტი სმარტ სოლუშენს"

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	საანგარიშგებო პერიოდი 2018 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	68980,52
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(4 224,29)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	64 756,23
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	76 563,10
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	141 319,33

შპს "ჯი თი სმარტ სოლუშენს"

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



1. შპს ჯი თი სმარტ სოლუშენს

შპს „ჯი თი სმარტ სოლუშენს“ (405114406) წარმოადგენს 2015 წლის 25 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის ძირითადი საქმიანობაა: სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის.

პარტნიორები:

100%	წილის მმართველი ლევან გოგსაძე (პ.5 01024009478)
------	---

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

დირექტორი - 01024009478, ლევან გოგსაძე

დირექტორი - 01024039904, გურამ კეკუა

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კ.შევარდენიძის ქ., N 1, ბ. 60

- კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2017 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

მოცემული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 ევრო	3.0701

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული

ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
საოფისე აღჭურვილობა და სხვა	5-7 წელი
არამატერიალური	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამას.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. საწარმო მარაგის ჩამოწერას საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

2.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო

ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები არ ყოფილა დაგირავებული.

	სატრანსპორტო საშუალება და მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2018	166989,24	15380,57	182369,81
შესყიდვა	103156,93	3066,1	106223,03
რეალიზაცია	-	-	-
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	270146,17	18446,67	288592,84
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2018	-5844,57	-711,92	-6556,49
ცვეთის ხარჯი (პერიოდის ცვეთა)	-23569,18	-2923,34	-26492,52
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-29413,75	-3635,26	-33049,01
წმინდა საბალანსო ღირებულება :			
1 იანვარი 2018წ	161144,67	16092,49	177237,16
31 დეკემბერი 2018წ	240732,42	14811,41	255543,83

4. არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერული პროგრამა
ღირებულება 1 იანვარი 2018	800
შესყიდვა	-
რეალიზაცია	-
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	800
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2018	-40
ცვეთის ხარჯი (პერიოდის ცვეთა)	-120
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-160
წმინდა საბალანსო ღირებულება :	
1 იანვარი 2018წ	760
31 დეკემბერი 2018წ	640

5. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2018</u>
ნედლეული და მასალები	2 033,90
დაუმთავრებელი წარმოება/შენეზბლობა	121 210,17
საწვავი	373,16
სულ	123 617,23

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები :

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2018</u>
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	23 442,15
მოთხოვნები საგარანტიო თანხებიდან	260 726,07
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1 043,75
საგადასახადო აქტივი	16 498,65
სულ	301 710,62

7. წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2018</u>
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	1 212,65
სულ	1 212,65

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2018</u>
ფული ბანკში (ლარი)	100 028,85
ფული ბანკში (ევრო)	41 290,48
სულ	<u>141 319,33</u>

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2018</u>
მოწოდებიდან და მომსახურებ. წარმოქმნ. ვალდებულებები	26 560,34
სულ	<u>26 560,34</u>

10. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

11. შემოსავალი

შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2018</u>
შესრულებული სამუშაოები	3 874 543,44
მასალების	17 593,22
რეალიზაცია	16 861,19
საიჯარო მომსახურება	
სულ	<u>3 908 997,86</u>

12. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

მიწოდებისა და მომსახურების ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2018</u>
რეკლამის ხარჯები	155,25
ევაკუატორის მომსახურება	410,17
საწვავის ხარჯი	10 815,72
სულ	11 381,14

12. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2018</u>
თანამშრომლის ტრენინგის ხარჯი	436,02
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯები	296,61
საკანცელარიო ხარჯები	488,21
დაცვის მომსახურება	14949,12
გაზის ხარჯი	481,98
დასუფთავების ხარჯი	137,50
დენის ხარჯი	407,11
წყლის ხარჯი	145,44
ჯი პი ესის ხარჯი	279,62
კომუნიკაციის ხარჯები	2282,28
დაზღვევის ხარჯი	925,00
ავტომანქანისა და ტექნიკის რემონტის/ექსპლუატაციის ხარჯი	14321,29
კომპიუტერის ხარჯები	295,00
იურიდიული, საკონსულტაციო და სხვა მიმდინარე ხარჯები	12000,00
საბანკო ხარჯები	2487,31
მივლინების ხარჯები	36212,01
სხვა საგადასახადო ხარჯები	21221,28
წარმომადგენლობითი ხარჯები	5762,99
სამეურნეო ხარჯები	8205,39
ოფისის წყლის და ყავის ხარჯი	339,71
სატენდერო მოსაკრებლები და სხვა გადასახადები	626,05
სულ	122 299,92



13. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.

14. ბალანსის შემდგომი მოვლენები . საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს "ჯი თი სმარტ სოლუშენს"

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

